



პროექტი „ახალგაზრდული ჯგუფების მხარდაჭერა ეფექტური და მდგრადი განვითარებისთვის (SYNCS)“ ხორციელდება სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტისა და World Vision-ის თანამშრომლობით. პროექტი თანამშრომლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

პროექტის მიზანია მხარი დაუჭიროს საქართველოში ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობას ადგილობრივი პრობლემების გადასაჭრელად. ახალგაზრდობის გააქტიურება ევროკავშირთან დაახლოების საგზაო რუკის მოთხოვნაა.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია:

- საქართველოს ექვს რეგიონში: კახეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთსა და სამეგრელოში უნივერსიტეტებსა და სკოლებს შორის ძლიერი ქსელის განვითარება. კვლევითი საქმიანობა სკოლაში სულ უფრო პოპულარული ხდება საქართველოში. მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროცესში სამოქმედო კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სამოქმედო კვლევა არის ინსტრუმენტი, რისი საშუალებითაც შესაძლებელია სკოლების განვითარება, პედაგოგიური პრაქტიკის სრულყოფა, სკოლებისა და სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობის განვითარება.
- სკოლებისა და უნივერსიტეტების დაკავშირება კვლევითი პროექტების დახმარებით. შერჩეული სკოლები, კერძოდ კი უფროსკლასელები ითანამშრომლებენ რეგიონულ უნივერსიტეტებთან, სტუდენტებთან და ერთობლივად განახორციელებენ სამოქმედო კვლევას. სამოქმედო კვლევა უნდა შეეხებოდეს სკოლაში სამოქალაქო განათლების პრაქტიკული ასპექტების გაძლიერებას. სამოქმედო კვლევაში ჩაერთვება 24 წარმატებული სტუდენტი 6 უნივერსიტეტიდან (ზუგდიდის, ქუთაისის, გორის, ახალციხის, სოხუმისა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტები). უნივერსიტეტის სტუდენტები ითანამშრომლებენ შერჩეულ სკოლებთან და ერთობლივად განახორციელებენ სამოქმედო კვლევას.
- ვებ-პორტალის შექმნა, რომელიც სკოლებს დააკავშირებს სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელთან. ვებ-პორტალის დახმარებით მოხდება რესურსების გაცვლა, იდეების გაზიარება.